სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციები“ (GRPO) გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის ჩარჩო (2022 წელი)

1. შესავალი

სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციები“ (შემდგომში GPRO ან კომპანია) წარმოადგენს საქართველოში განახლებადი ენერგო ობიექტების მართვის და ოპერირების მიზნით დაფუძნებულ სააქციო საზოგადოებას. GPRO-ს მართავს Georgia Capital PLC, რომლის აქციებიც განთავსებულია ლონდონის საფონდო ბირჟაზე. GPRO, თავისი შვილობილი კომპანიების მეშვეობით, ოპერირებას უწევს 50 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურებსა და ფლობს ერთადერთ მოქმედ (21 მგვტ) ქარის ელექტროსადგურს ქვეყანაში.

საქართველოს სახელმწიფო ენერგო პოლიტიკა მიზნად ისახავს ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობას, მდგრადი და სტაბილური ენერგო სექტორის ჩამოყალიბებასა და ენერგო მოთხოვნის დაკმაყოფილებას ქვეყანაში არსებული ენერგო წყაროებისა (წყლის და ქარის რესურსების ჩათვლით) და იმპორტირებული ენერგორესურსის დივერსიფიკაციის საშუალებით. მცირე ზომის ჰიდროელექტროსადგურები და ქარის ელექტროსადგურები სტრატეგიულად პრიორიტეტული ობიექტებია ხსენებული მიზნის მიღწევის პროცესში.

ზემოხსენებული სახელმწიფო ენერგოპოლიტიკის გათვალისწინებით, GRPO-ს შვილობილი კომპანია, სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის კომპანია“ (GPRC) აქტიურად მუშაობს ახალი ჰიდრო და ქარის ენერგოპროექტების შემუშავებაზე და დაინტერესებულია გეოთერმული ენერგიისა და მწვანე წყალბადის წარმოების პროექტების განხორციელებით.

წინამდებარე გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის (E&S პოლიტიკა) განაცხადი გამოხატავს GPRO-ს მიერ მდგრადი განვითარების, გარემოსდაცვითი და სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების აღიარებას, საქართველოს კანონმდებლობის, საერთაშორისო გარემოსდაცვითი, სოციალური, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების (ESHS) სტანდარტებისა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების (IFI) გარემოსდაცვითი და სოციალური (E&S) მოთხოვნების შესაბამისად.

2. GRPO-ს შესახებ

სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციები“, მისი შვილობილი კომპანიების საშუალებით, მართავს განახლებადი ენერგო ობიექტების პორტფელს:

- შპს „სვანეთი ჰიდრო“, რომელიც ოპერირებას უწევს 30 მგვტ სიმძლავრის მესტიაჭალა 2 ჰიდროელექტროსადგურს;
- შპს „ჰიდროლეა“, რომელიც მის საკუთრებაში 100%-იანი წილით არსებული შვილობილი კომპანიების საშუალებით (შპს „კასლეთი 2“; შპს „ჰიდრო ჯორჯია“, შპს „გეოენერჯი“) მართავს შემდეგ ჰიდროელექტროსადგურებს: 8.1 მგვტ სიმძლავრის კასლეთი 2 ჰესს, 3.2 მგვტ სიმძლავრის დებედას ჰესს და 9.1 მგვტ სიმძლავრის ახმეტის ჰესს;
- შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“, რომელიც ოპერირებას უწევს 20.7 მგვტ სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურს.

Georgian Renewable Power Operations JSC | ID: 404642892 | Address: 10 Medea (Mzia) Jugheli Street, Tbilisi 0179, Georgia | Phone: (+99532) 2931111 | E-mail: info@grpc.ge
სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციები“ | ს/ნ: 404642892 | მის: მედეა (მზია) ჯუღელის ქ. N10, თბილისი 0179, საქართველო | ტელ: (+99532) 2931111 | ელ-ფოსტა: info@grpc.ge

GPRO-ს ენერგო საწარმოების მიერ გამომუშავებული ენერგია, საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის მიერ დადგენილი ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად, ჩართულია სახელმწიფო ენერგოსისტემაში.

ქვემოთ წარმოდგენილია GPRO-ს მიერ ოპერირებადი ენერგო ობიექტების განლაგება ქვეყნის მასშტაბით:



3. პოლიტიკის მიზანი და მოქმედების სფერო

GPRO აღიარებს, რომ მის ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებული ისეთი გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედებების ეფექტური მართვა, როგორებიცაა დასაქმებულებისა და საზოგადოების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვა, გარემოს დაცვა, ბუნებრივი რესურსების გამოყენება და ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია, კომპანიის წარმატებულ საქმიანობაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

წინამდებარე გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა განსაზღვრავს GPRO-ს ვალდებულებას მდგრადი განვითარების ძირითადი პრინციპებისადმი და მის პასუხისმგებლობას საქმიანობის პროცესში უზრუნველყოს სოციალური და გარემოსდაცვითი მდგრადობა, რაც მიზნად ისახავს გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის გამტკიცებას და გაძლიერებას.

GPRO-ს გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა ვრცელდება კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიების მიერ წარმოებულ ყველა საქმიანობაზე, მათ შორის, ოპერაციებსა და ტექნიკურ უზრუნველყოფაზე, სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, ასევე კონტრაქტორებზე, რომლებიც ახდენენ კომპანიის საქმიანობის მხარდაჭერას.

წინამდებარე პოლიტიკა ძალაში შედის GRPO-ს დირექტორატის მიერ დამტკიცებიდან 1 თვის ვადაში.

კომპანიის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა დინამიური და ცოცხალი დოკუმენტია, რომელიც სამომავლოდ კიდევ უფრო უნდა დაიხვეწოს საქმიანობის პროცესში მიღებული/შეძენილი გამოცდილების გათვალისწინებით. კომპანიის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის გადახედვა მოხდება ყოველ 5 წელიწადში ერთხელ, რათა იგი არსებულ რეალობასთან შესაბამისობაში იყოს.

Georgian Renewable Power Operations JSC | ID: 404642892 | Address: 10 Medea (Mzia) Jugheli Street, Tbilisi 0179, Georgia | Phone: (+99532) 2931111 | E-mail: info@grpc.ge
სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციები“ | ს/ნ: 404642892 | მის: მედეა (მზია) ჯუღელის ქ. N10, თბილისი 0179, საქართველო | ტელ: (+99532) 2931111 | ელ-ფოსტა: info@grpc.ge

4. პრინციპები

GPRO იღებს ვალდებულებას, რომ დაბინძურების პრევენციასა და ბუნებრივი და სოციალური გარემოს დაცვას უზრუნველყოფს შემდეგი ძირითადი პრინციპების გამოყენებით:

შესაბამისობა. GRPO უზრუნველყოფს მის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა შესაბამისი გარემოსდაცვითი და სოციალური კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვას, ასვე აქტიურად მოახდენს მის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის განსაზღვრასა და მართვას, რაც შესაბამისობაში იქნება IFC-ის გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებთან (PS), FMO-ს გარემოსდაცვით და სოციალურ პოლიტიკებთან, ADB-სა და EBRD-ის გარემოსდაცვითი და სოციალური მდგრადობის შესახებ რეკომენდაციებთან და სახელმძღვანელო პრინციპებთან;

ბიზნეს ეთიკა. GRPO ადგენს შრომის პირობების, ადამიანის უფლებების, დისკრიმინაციის აკრძალვის, გენდერის, დასაქმებულთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის, შესყიდვების უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი კორპორატიული პასუხისმგებლობის მაღალი დონის სტანდარტებს;

მტკიცე გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემა (ESMS). დანერგილია გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემა, რაც უზრუნველყოფს კომპანიის საქმიანობას საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო გარემოსდაცვითი, სოციალური, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სტანდარტების შესაბამისად. გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემა აერთიანებს შემდეგ ელემენტებს: (i) გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა; (ii) გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის პროცედურები, რომლებიც გამოიყენება გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებისა და ზემოქმედების დადგენის, შეფასების, მართვისა და მონიტორინგის მიზნით; (iii) გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმები (ESMP), სადაც დეტალურად არის განსაზღვრული ის მოთხოვნები, რომლებიც უზრუნველყოფენ კომპანიის საქმიანობას საქართველოში მოქმედი გარემოსდაცვითი მარეგულირებელი ნორმებისა და საერთაშორისო საუკეთესო საწარმოო პრაქტიკების, მათ შორის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების შესაბამისად; (iv) გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების სამოქმედო გეგმა (ESAP); (iv) ორგანიზაციული პოტენციალი, კომპეტენცია და პასუხისმგებლობა; (v) დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა; და (vi) მონიტორინგი და შემოწმება.

ორგანიზაციული პოტენციალი. GRPO-მ დანერგა და საჭიროების მიხედვით განამტკიცებს ორგანიზაციულ სტრუქტურას, რომელიც განსაზღვრავს გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემით (ESMS) გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებისთვის საჭირო ფუნქციებს, უფლება-მოვალეობებს და პასუხისმგებელ ქვედანაყოფებს. შესაბამისი თანამშრომლებისა და კონტრაქტორების საჭირო ცოდნითა და უნარ ჩვევებით უზრუნველყოფის მიზნით, GRPO რეგულარულად მოახდენს მათ გადამზადებას და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას.

რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და მართვა. GRPO ახდენს, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების იდენტიფიცირებას, შეფასებასა და

Georgian Renewable Power Operations JSC | ID: 404642892 | Address: 10 Medea (Mzia) Jugheli Street, Tbilisi 0179, Georgia | Phone: (+99532) 2931111 | E-mail: info@grpc.ge
სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციები“ | ს/ნ: 404642892 | მის: მედეა (მზია) ჯუღელის ქ. N10, თბილისი 0179, საქართველო | ტელ: (+99532) 2931111 | ელ-ფოსტა: info@grpc.ge

მართვას. დასაქმებულებთან, საზოგადოებასთან და გარემოსთან მიმართებით გამოვლენილი უარყოფითი ზემოქმედებების გამოსავლენად, კომპანია იყენებს რისკების შერბილების საყოველთაოდ ცნობილ იერარქიას (აცილება, მინიმუმამდე შემცირება, შერბილება ან კომპენსაცია).

მონიტორინგი და მუდმივი სრულყოფა. GRPO უზრუნველყოფს ყველა პოტენციური გარემოსდაცვითი საფრთხისა და რისკის დადგენას, ხოლო მათი თავიდან აცილების მიზნით, მოახდენს ეფექტური პრევენციული ღონისძიებების განსაზღვრასა და აღსრულებას. რეგულარულად ჩატარდება წინამდებარე პოლიტიკისა და მასთან დაკავშირებული პროცედურების აღსრულების მონიტორინგი და გადახედვა, რათა ყოველთვის უზრუნველყოფილი იყოს მათი არსებულ რეალობასთან და კომპანიის საქმიანობასთან შესაბამისობა. კომპანია მოწოდებულია მუდმივად გაუმჯობესოს გარემოსდაცვითი მართვის სისტემების ეფექტურობა და თავიდან აიცილოს გარემოს დაბინძურება, როგორც კომპანიის სამუშაო გარემოს ფარგლებში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

საქმიანობის ეფექტურობა. GRPO მოწოდებულია მუდმივად გაუმჯობესოს საქმიანობის ეფექტურობის მაჩვენებელი, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს სამუშაო ადგილზე ადამიანის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკები, ასევე შეამციროს კომპანიის საქმიანობით გამოწვეული ნებისმიერი უარყოფითი გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედება. GPRO დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გარემოსდაცვით და სოციალურ მაკორექტირებელი ზომების სათანადოდ განხორციელებას, რათა მისი საქმიანობის პროცესში უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი საერთაშორისო გარემოსდაცვითი სტანდარტების დაცვა. სწორად შესრულებული გარემოსა და სოციალური ზემოქმედების სამოქმედო გეგმა (ESAP), ისევე როგორც სხვადასხვა პროექტის დონეზე შემუშავებული გარემოსა და სოციალური ზემოქმედების მართვის გეგმები, (ESMP) მთელი რიგი მიზნების მიღწევას შეუწყობს ხელს, მათ შორის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობითა და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკებით დადგენილი მოთხოვნების დაცვას, სხვადასხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ განსაზღვრული გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების ჩათვლით.

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა და გამჭვირვალობა. GRPO უზრუნველყოფს ზემოქმედების არეალში მოქცეული საზოგადოების სათანადოდ ჩართულობას იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც მათზე ზემოქმედებას ახდენენ, შესაბამისი ინფორმაციის დროულად და შესაფერისი ფორმით წინასწარი გაცნობისა და მუდმივი კონსულტაციების საშუალებით, ასევე საჩივრებზე რეაგირებისა და მათი განხილვის ეფექტური მექანიზმის დანერგვის გზით.

ბიომრავალფეროვნების დაცვა. GRPO იღებს ვალდებულებას, პასუხისმგებლობით წარმართოს საქმიანობა და იზრუნოს გარემოსა და ბიომრავალფეროვნების დაცვაზე. კომპანიის გარემოსდაცვითი მიზანია ბიომრავალფეროვნების დაცვა და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირება. ბიომრავალფეროვნების დაცვის უზრუნველყოფა ხდება შემარბილებელი ღონისძიებების იერარქიის გამოყენებით, რაც ითვალისწინებს შემდეგ პრინციპს - აცილება, მინიმიზაცია, შერბილება და კომპენსაცია. კომპანია მოწოდებულია კოლექტიური ძალისხმევით დაიცვას ბიომრავალფეროვნება მის მფლობელობაში არსებული ყველა ობიექტის საპროექტო ტერიტორიაზე. კომპანიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს წყლის ბიომრავალფეროვნების მიგრაციული სახეობების დაცვა.

უსაფრთხოება და საგანგებო შემთხვევებისთვის მზადყოფნა. კომპანიისთვის პრიორიტეტულია

Georgian Renewable Power Operations JSC | ID: 404642892 | Address: 10 Medea (Mzia) Jugheli Street, Tbilisi 0179, Georgia | Phone: (+99532) 2931111 | E-mail: info@grpc.ge
სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციები“ | ს/ნ: 404642892 | მის: მედეა (მზია) ჯუღელის ქ. N10, თბილისი 0179, საქართველო | ტელ: (+99532) 2931111 | ელ-ფოსტა: info@grpc.ge

კომპანიის მფლობელობაში არსებული ობიექტების, დასაქმებულებისა და საზოგადოების უსაფრთხოება. GPRO-მ შეიმუშავა საგანგებო შემთხვევებისთვის მზადყოფნის და რეაგირების გეგმები და პროცედურები, სადაც განსაზღვრულია სავარაუდო საგანგებო შემთხვევების განვითარების ვარიანტები, ხოლო კომპანიის თანამშრომლები და კონტრაქტორები გადამზადებულები არიან უბედური და საგანგებო სიტუაციების აღკვეთის პრევენციული ღონისძიებების და მათზე რეაგირების საკითხებზე, რათა მინიმუმამდე შემცირდეს ასეთი შემთხვევებით გამოწვეული გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედება.

5. ვალდებულებები

GRPO მოწოდებულია:

- განამტკიცოს კორპორატიული გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა და გარემოსდაცვითი და სოციალური პასუხისმგებლობის დაცვით, შესაბამისი სტანდარტების დადგენაში, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირებაზე ყურადღების გამახვილებით.
- დაიცვას ყველა შესაბამისი სახელმწიფო და საერთაშორისო სტანდარტები, საკანონმდებლო მოთხოვნები და მარეგულირებელი ნორმები, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტები, ასევე უზრუნველყოს საუკეთესო საწარმოო პრაქტიკების დანერგვა.
- უზრუნველყოს უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემო და უზრუნველყოს თანამშრომლების სათანადოდ გადამზადება უსაფრთხოებისა და საგანგებოს შემთხვევებისთვის საჭირო შესაბამისი აღჭურვილობის გამოყენებით;
- პროაქტიულად მიუდგეს გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების განსაზღვრასა და შეფასებას. შემარბილებელი იერარქიის გამოყენებით მოახდინოს რისკების და ზემოქმედების პროგნოზირება და თავიდან აცილება, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც პრევენცია შეუძლებელია, მინიმუმამდე შეამციროს ზემოქმედება, შეარბილოს და საჭიროების შემთხვევაში, მოხდინოს მათი კომპენსაცია.
- მოახდინოს თანამშრომლების, დამკვეთების, პარტნიორების, მომწოდებლების, კონტრაქტორების და სხვა დაინტერესებული მხარეების ინფორმირება გარემოსდაცვითი და სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ და ხელი შეუწყოს მათი ცნობიერების ამაღლებას;
- უზრუნველყოს გამჭვირვალობა ყველა დაინტერესებულ მხარესთან ურთიერთობაში, კერძოდ, შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან, ადგილობრივ საზოგადოებასთან, ცალკეულ მიწათმფლობელებთან და თანამშრომლებთან. ასევე, უზრუნველყოს მათი ჩართულობა მკაფიოდ განსაზღვრული საზოგადოებრივი კონსულტაციების პროცესის საშუალებით და პროექტის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის გავრცელებით, მისი განვითარების ყველა ეტაპზე;
- იყოს ეკო-მეგობრული იმ გარემოში, სადაც კომპანია წარმართავს საქმიანობას და დაუყოვნებლივ აღმოფხვრას და გამოასწოროს ის საკითხები, რომლებმაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნან გარემოს ან ადამიანების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას;
- უზრუნველყოს, რომ კომპანიის ყველა თანამშრომელს გაცნობიერებული ჰქონდეს საკუთარი ინდივიდუალური პასუხისმგებლობა გარემოსდაცვითი, სოციალური, ადამიანის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხების შესახებ;

Georgian Renewable Power Operations JSC | ID: 404642892 | Address: 10 Medea (Mzia) Jugheli Street, Tbilisi 0179, Georgia | Phone: (+99532) 2931111 | E-mail: info@grpc.ge
სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციები“ | ს/ნ: 404642892 | მის: მედეა (მზია) ჯუღელის ქ. N10, თბილისი 0179, საქართველო | ტელ: (+99532) 2931111 | ელ-ფოსტა: info@grpc.ge

- თანამშრომლებისთვის და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის შექმნას კომპანიის საქმიანობის შესახებ მოსაზრებების გამოთქმისა და წინადადებების წარდგენის მექანიზმი, ხოლო წამოჭრილ საკითხებზე რეაგირებისა და უკუკავშირის მიწოდების დროს იმოქმედოს გამჭვირვალედ და პასუხისმგებლობით;
- სწორი მართვით, ინფორმირებულობით და რესურსების ეფექტიანი გამოყენებით შეამციროს ნარჩენების წარმოქმნა და დაბინძურება;
- გარემოსა და მოსახლეობის უსაფრთხოებას მიანიჭოს უპირატესი მნიშვნელობა ყველა საქმიანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რათა სათანადოდ დაბალანსდეს ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი შედეგები;
- საპროექტო ტერიტორიებზე უზრუნველყოს ბიომრავალფეროვნების საკითხების მონიტორინგი და განახორციელოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშებით გათვალისწინებული ყველა შემარბილებელი ღონისძიების შესრულება. ბიომრავალფეროვნების დაცვის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, შეიმუშაოს და განახორციელოს დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებები;
- დეტალური დაგეგმვის, წყლის, ენერგიისა და ნედლეულის რაციონალურად გამოყენებით, ეფექტურად მოახდინოს ბუნებრივი რესურსების გამოყენება;
- შეიმუშაოს და განახორციელოს საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების პროცედურები, ასევე შეიმუშაოს მზადყოფნისა და რეაგირების პროცედურები ისეთი შემთხვევებისთვის, რომელთა თავიდან არიდებაც შეუძლებელია;
- იძულებითი ფიზიკური და ეკონომიკური გასახლების თავიდან აცილება. ასევე, ადამიანთა საცხოვრებელ გარემოზე და მათ შემოსავლის წყაროებზე ზემოქმედების მაქსიმალური შერბილება, ფრთხილი დაგეგმვისა და კონსულტაციების გზით.

აღებული ვალდებულებების შესასრულებლად GRPO:

- განახორციელებს გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმას, რათა უზრუნველყოფილი იყოს გარემოს და სოციალური დაცვის კუთხით აღებული ვალდებულებების ეფექტური მართვა;
- გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების სამართავად აქტიურად გამოიყენებს გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემასა (ESMS) და რისკების მართვის პროცედურებს;
- რეგულარულად მოახდენს გარემოსდაცვითი მართვის სისტემის გადახედვას, რათა უზრუნველყოს მისი არსებულ მდგომარეობასთან შესაბამისობა;
- უზრუნველყოფს სწავლებების ჩატარებას და მოახდენს თანამშრომლების სტიმულირებას დაკისრებული მოვალეობების შესრულებისას გამოიჩინონ გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა;
- ყველა კონტრაქტორსა და მომწოდებელს მოთხოვს მაღალი დონის გარემოსდაცვითი მიდგომების გამოჩენას;
- უზრუნველყოფს ყველა გარემოს დაცვასთან, ადამიანის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინცინდენტის გამოძიებას, ხოლო ამ ინცინდენტების აღმოსაფხვრელად, გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემით (ESMS) დადგენილი პროცედურების შესაბამისად, განსაზღვრავს შესაბამის გამოსასწორებელ ღონისძიებებს;
- გარემოსდაცვითი მაჩვენებლებისთვის განსაზღვრავს გაზომვად მიზნებსა და ამოცანებს

Georgian Renewable Power Operations JSC | ID: 404642892 | Address: 10 Medea (Mzia) Jugheli Street, Tbilisi 0179, Georgia | Phone: (+99532) 2931111 | E-mail: info@grpc.ge
სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციები“ | ს/ნ: 404642892 | მის: მედეა (მზია) ჯუღელის ქ. N10, თბილისი 0179, საქართველო | ტელ: (+99532) 2931111 | ელ-ფოსტა: info@grpc.ge

(მათ შორის, ეფექტიანობის საკვანძო მაჩვენებელებს - KPI), რათა უზრუნველყოფილი იყოს მუდმივი გაუმჯობესებისკენ სწრაფვა;

- საქმიანობას უზრუნველყოფს, როგორც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გარემოსდაცვითი, სოციალური და ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის მოთხოვნების შესრულებას და ასევე საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების შესაბამისი სტანდარტების დაცვით;
- მშენებლობის, ექსპლუატაციის და ტექნიკური მომსახურების, მათ შორის სარემონტო/შეკეთებითი და სამშენებლო/სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმოებისას, უზრუნველყოფს გარემოსდაცვით, შრომის უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხების ეფექტურ მართვას;
- გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების განხილვისას, შესაბამისი დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ახდენს საზოგადოებასთან კონსულტაციების ეფექტური პროცედურების გატარებას;
- სამუშაო ადგილებზე რეგულარულად ატარებს აუდიტს და შემოწმებას, რათა გამოავლინოს შეუსაბამობები და მათ გამოსასწორებლად განსაზღვროს გამოსასწორებელი ღონისძიებების სამოქმედო გეგმა და პასუხისმგებელი პირები;
- შესყიდვებისას განხორციელებისას უზრუნველყოფს კონტრაქტორებთან გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებდეს გარემოსდაცვით მოთხოვნებსა და პასუხისმგებლობებს;
- აქტიურად უზრუნველყოფს ისეთი ახალი ტექნოლოგიების ან პროცესების დანერგვას, რომლებსაც შეუძლიათ გარემოსდაცვითი მაჩვენებლების პოტენციურად გაუმჯობესება;
- უზრუნველყოფს წინამდებარე გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის სამუშაო ადგილზე ხელმისაწვდომობას და მის აღსრულებას საქმიანობის პროცესში;
- გამოყოფს სათანადო რესურსებს კომპანიის მიერ ადამიანების ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის კუთხით აღებული ვალდებულებების შესასრულებლად.

6. საჯარო ინფორმაცია და გამოქვეყნება

გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესახებ ინფორმაციას კომპანია გააცნობს ყველა თანამშრომელს, მომწოდებელს, კონტრაქტორს, ვიზიტორსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს, რათა უზრუნველყოფილი იქნას კომპანიის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების გამჭვირვალეობა, ანგარიშვალდებულება და ეფექტურობა. წინამდებარე გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა გამოქვეყნდება კომპანიის ვებ-გვერდზე, სადაც ყველა დაინტერესებული მხარე შეძლებს მასთან გაცნობას.

Georgian Renewable Power Operations JSC | ID: 404642892 | Address: 10 Medea (Mzia) Jugheli Street, Tbilisi 0179, Georgia | Phone: (+99532) 2931111 | E-mail: info@grpc.ge
სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციები“ | ს/ნ: 404642892 | მის: მედეა (მზია) ჯუღელის ქ. N10, თბილისი 0179, საქართველო | ტელ: (+99532) 2931111 | ელ-ფოსტა: info@grpc.ge